საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

2-07/3755-16
12.12.2016

კომერციული ბანკების ხელმძღვანელებს

# საქართველოს ეროვნული ბანკის წერილობითი მითითება

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საფინანსო სექტორის სტაბილური და ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობის, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკს ეკრძალება საბანკო მომსახურების მომხმარებელს დააკისროს მის მიერ გაცემულ კრედიტებზე/სესხებზე რეფინანსირების ან საკუთარი სახსრებით დაფარვის შედეგად წინსწრებით დაფარვის საკომისიო და/ან პირგასამტეხლო, ან ნებისმიერი სახის საჯარიმო სანქცია, რომელიც შინაარსობრივად წარმოადგენს წინსწრებით დაფარვის საკომისიოს და/ან პირგასამტეხლოს, რომელიც აღემატება კრედიტის/სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 2%-ს.

წერილობითი მითითება ძალაშია 2018 წლის 1 იანვრამდე.

აღნიშნული წერილობითი მითითების დარღვევის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი გამოიყენებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სანქციებს.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე

0114 / თბილისი / სანაპიროს 2 / ტელ.: 2406 406, 2406 120/ ფაქსი: 2406 577/ ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge / კოდი: 20410484
2 Sanapiro str/ Tbilisi 0114/ Tel.: 2406 406, 2406 120/ Fax: 2406 577/ E-mail: info@nbg.gov.ge / code: 20410484
www.nbg.ge